



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

N 30

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. გარდაბანი
29.03.2024

30-06-4-202403291711



გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 41-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 თებერვლის №4 დადგენილების საფუძველზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს (გარდა თანამდებობის პირებისა) აუნაზღაურდეთ საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული მიმდინარე წლის მარტის თვის ხარჯი თანდართული ცხრილის შესაბამისად.

მუხლი 2

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს ამ განკარგულების დანართში გათვალისწინებული თანხის დარიცხვა საკრებულოს წევრების შესაბამის საბანკო ანგარიშებზე.

მუხლი 3

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქალაქი რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. N6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე

